


# საქართველო პატრიარქი

იუმორის გ.  
ჟურნალი

№ 8

მ რ ი ფ ა რ ი

21/11



ორი ფარი, მრუდი ფარი,  
 ურთიერთზე უტიფარი...  
 ერთი, დახეთ, ქუდს იფარავს,  
 ერთიც იმათ, ვინც იპარავს!..  
 ორი ფარი, მრუდი ფარი,  
 ურთიერთზე უტიფარი!



ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ იბეჭდება იუმორისტ. ლექსი „აღმზრდელა“ (დასასრული)—**ეშმაკისა**.

## მ ა რ ც ხ ი.

(დასასრული)

ორი ღღე რჩებოდა კიდე „სალამომდე“ და ეს ორი ღღე ნიადაგ მოსაგონარათ იქნება ჩემ ცხოვრებაში.

მე გავხდი ერთად ერთი ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებდა მთელი ჩემი ოჯახის ინტერესები. თითოეულ ჩემ სიტყვას, ხელის განძრევას და სახის მოძრაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ყველა და ისე მაყურებდნენ დიდიან-პატარაიანა, როგორც თავიანთ სიამაყეს, საუცხოვო მერმისის მოციქულს..

„სალამოსთვის“ დაწერილი ჩემი სახუმარო ნაწყვეტი ხომ ყველამ ზეპირად იცოდა. ხან ერთი წამოიძახებდა ხოლმე რომელსამე ადგილს ჩემი ესკიზისას, ხან მეორე და მაშინ ყველას მკერდიდან ვულკანივით ამოსკდებოდა გიჟური და თავაშვებული ხარხარი.

უმნიშვნელო და ყოვლად მოსაწყენი წარსული აღარავის გვახსოვდა. ჩვენ თვალწინ იდგა ღამაში აწყობა და ის მშვენიერი მერმისი, „სალამოს“ შემდეგ რომ მოგვევლინებოდა ჩემი ხელთუქმნელი გვირგვინისა და უღარდელი ცხოვრების სახით.

ოჯახის ეს საოცარი ჰარმონია, ვარდისფერ იმედით გაშუქებული, მხოლოდ უკანასკნელ დილას შეირყა ოდნავ.

მე ჩემი საკუთარის ხელით ვაუთოვებდი შავ შარვალს, რომელიც „სალამოზე“ უნდა მცმოდა. ოჯახის ყველა წევრი გარს მეხვია და აღტაცებულის გრძობებით ადევნებდნენ თვალს უთოს ყოველსავე მოძრაობას.

— ყველაფერი რო გშვენის და გიხდება! — მითხრა ცოლმა:— აბა რა შენი საქმეა ეს უთოობა, მაგრამ დახე, როგორ კოხტათა და ადვილათ მოგდის ხელში! საკვირველი კაცი ხარ, სწორეთ!

— იცი, სოფიკო, — შევნიშნე მე: — ეს უთო ხომ მე მგავს!

... როგორ თუ შენა გგავს?.. აგვიხსენი, თუ ღმერთი გწამს! — გაისმა ირგვლივ ხმები.

— ღიად, ეს უთო მე ვარ. ნაკვერჩხალი, რომელიც ამ უთოს ახურებს — ჩემი შინაგანი ცეცხლი, ანუ ნიჭია. ეს შარვალი კიდე ჩვენი საზოგადოებაა. უთოს სიმზურვალე ცოტა არ იყოს სწვავს შარვალს, მაგრამ ამავე დროს ნაოქებს უსწორებს და აღამაზებს.. ასეთივეა ჩემი იუმორისტული ნიჭი, რომელიც საზოგადოების წყლულებსა სწვავს და შემდეგ ამრთოვებს, ჰკურნავს!

— ვაშა, ვაშა, ვაშა! — ერთხმით შემძახა ყველამ და ოთახში გულიანი სიცილი გაისმა.

— მაიკოა დღეს უკანასკნელათ აუთოებს შარვალს, — ეშმაკურის ღიმილით წამოიძახა ჩემმა საშვალო ქალმა.

— რათა? — ჩავეკითხეთ ყველანი.

— „სალამოს“ შემდეგ მას აღარ დასჯარდება შარვლის საკუთრივ დაუთოება.. სხვები დაუთოებენ!

— არა, შვილო, ვუბასუხე მე. — შენ კიდე ვერ გიცნივარ კარგათ. მამა შენი ისეთი კაცი არ არის, რომ კეთილმა ყოფა-ცხოვრებამ მას პატიოსან შრომაზე ხელი ააღებინოს.

ყველამ აღტაცებით შემომხედა, საშვალო ქალის თვლები კი ამას მეუბნებოდა: მაპატიე, მამო, სულელური სიტყვები: მე არ მინდოდა შენთვის მეწყენინებია..

— მე მგონია, შენ რუსულ პრესაშიაც უნდა დაიწყო თანამშრომლობა, — მითხრა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ცოლმა და სველი ტილო შომაწოდა შარვლისათვის ნაცვლათ გამშრალისა, რომელიც მე გადავეცი.

— არა, ჩემო სოფიკო, ვუბასუხე მე: — რუსულ ჟურნალ-გაზეთებს გადაჭრილ უარს ვეტყვი თანამშრომლობაზე — დამიჭი, გეთაყვა ეს ტოტი და ოდნავ მოსწიე შენკენ — მე ქართველი კაცი ვარ, და თუ ღმერთსა და ჩემს ხალხს ჩემთვის რაიმე ნიჭი მოუმაღლებია — კმარა, გაუშვი ხელი — ეს ნიჭი მხოლოდ ჩემს ხალხსვე უნდა დაუფბრუნო.

— ეგ ვერაფერი ჰკუთა, შვილო — ჩაერია დედაჩემი. შენს ნიჭს განა რა დაკლდება, რო ცოტა რუსულადაც სწერო.. უთო გავცივდა მგონი, დედა... და ერთი ორი გრაფით მეტი შემოიძინა ოჯახში.. ეხლავე ნაკვერჩხალს მოგიტან.

— თუ დოროშვიჩი და აღექსანდრე იაბლო-



ესკი ათი ათასობით ბოჭავენ, შენ ვითომ რა  
რომ მაინცა და მაინც ღატაკ ქართულ პრე-  
შეაკედე, — ცოტა გულნაწყენათ მითხრა ცოლმა.

— ყველაფერს შემოსავლიანობის თვალსაზ-  
რით როდი უნდა უცქირო, სულიკოჯან, ვუთ-  
ხარ მე და უთოს თავი ავხადე ნაკვერჩხალის ჩა-  
რელათ. მართლა, ნიჭი კარტოფილი ან კომ-  
სტო ხომ არ არის, ვინც მეტს მოგცემს — იმას  
ყიღო!

— მერე შენ განა ნიქსა ჰყიდი?! მუხლის  
ღებს უფრო დასველება უნდა, თორემ არ გას-  
რდება... ნიქს კი არა, ნიქის ნაყოფსა ჰყიდი.  
მა კი... დახურე უთო... ნიადაგ შენთან რჩება  
უყრელათ...

— სოფიკო მართალს ამბობს, შვილო. შენ  
იმ კვირაში ერთხელ რუსული რამე დასწერო,  
მა ამით შენს ნიქს რა უნდა დააკლდეს? — კვერთხ  
უკრა მამაჩემმა და სული შეუღებრა შარვალზე  
კვინულ ფერფლს.

— ჩემს ნიქს მართალია არა დააკლდება-რა,  
რამ — მოიტათ სველი ტილო — საქმე პრინციპია...  
მ გახსოვთ ილია ქაფქაფაძის „იანიჩარი“, „ნეტა,  
თვის შენ კისკასობ?“ რათ უნდა ვაკისკასო მე  
ნიჭი ჩემთვის უცხო ხალხისათვის?!

ჩვენ და ვა თანდათან მწვავდებოდა. მეც და  
ნი მოპირდაპირეებიც პოლემიკურმა ჟინმა აგვი-  
ნა და ვინ იცის სანამდე მიადწევდა ჩვენი გაც-  
რება, მაგრამ სწორეთ იმ დროს როდესაც ჩემი  
ინციპის საფუძვლიანობას წაშკარა მაგალითებით  
ტყვიკებდი, უეცრათ უთოს სახურავი ავარდა და  
კარვარებული ნაკვერჩხლები შარვალზე დაცვიფ-  
...

ინციდენტი იმით გათავდა, რომ დაუთოებულნი  
რვალი სამ ადგილას გამოიწვია, ხოლო ჩემმა  
იღმა, უმცროსმა ქალმა და მამაჩემმა, ყველამ  
ათათ შვიდი თითი დაიწვეს...

თუმცა მატერიალური ზარალიც და ფიზიკუ-  
რ ტყვილებიც საგრძნობელი იყო, მაგრამ ჩემი  
სვლის დრომ რომ მოაღწია, მომენტის სიღია-  
ემ ყოველივე დაჰფარა და ოჯახში კვლავ ტკი-  
ბი სიმფონია დამყარდა.

— ბისისათვის ხომ მზათა გაქვს? — მკითხავდა  
ოლი, როცა მივდიოდი.

— ფიქრი ნუ გაქვს — სამი რამ დავამზადე ბი-  
სისათვის.

— შვილო, ხომ იცი, როგორ ვდელავთ: გა-

ათავო თუ არა შენი საქმე, მაშინვე წამოდი! —  
მითხვდა დედა.

— მაგის პირობას ვერ მოგცემთ... დარწმუ-  
ნებული ვარ, არ გამომიშობენ და „სალამოს“ შემ-  
დევ ვახშამს გამიმართავენ...

თეატრში რომ შევედი, დარბაზი ხალხით გა-  
ქედლილიყო კიდევ. ტარიელ ცანცარაშვილის საქ-  
ციელმა ცოტა არ იყოს გამაკვირვა. ჩემთან სახლ-  
ში რა თავაზიანი იყო და როგორ გულწრფელათ  
მევედრებოდა „სალამოში“ მონაწილეობის მიღებას,  
აქ კი, რომ დამინახა, ჯერ ვერც კი მიცნო, მე-  
რე — „კულისებში მიბრძანდით, ბატონო თავუნაო“,  
ავდებულათ მომადახა და სწორეთ იმ დიმილით, მე  
რომ იმ დღეს მომხიბლა, ვიღაც პირ-გაპარსულ  
კაცს მივარდა, მდაბლათ თავი დაუკრა და მოკრძა-  
ლებით წამოიყვანა კულისებისაკენ. შემდეგ გამო-  
იჩქვა, რომ ის კაცი ერთი მონაწილეთაგანი იყო,  
მომდერალი ტენორი.

კულისებში რაღაც მარტოობის გრძნობა გან-  
ვიცადე. არავინ ყურადღებას არ მამცვედა, ყველა  
ფაცი-ფუციში იყო და ჩემთვის არ ცხელოდათ, მა-  
რამ ჩემი იუმორისტული ნაწყვეტი რომ ჯიბეში  
მეღო აბა რა უნდა მქონოდა საზრუნავი!

უშველოს დმერთმა, კავსაძის ხოროს ერთი  
მომდერალი გამომელაპარაკა და, ცოტა არ იყოს,  
გამართო კიდევც.

— თქვენ სადღაც მინახიხართ, ყმაწვილო, —  
მითხრა მან: — ხარფუხის კლუბში ლოტოს ნომრებს  
ხომ არ ყვირით ხოლმე?

მე გამეცინა.

— არა, ბატონო, — ვუბასუხე მე: — მე იუმო-  
რისტი გახლავართ, თავუნა.

— რა სასაცილო გვარი გქონიათ — „თავუ-  
ნა“! — გაიმეორა მან და გადინახარხარა.

— „თავუნა“ გვარი არ გახლავთ, თავუნა  
ფსევდონიია!

— „თავუნა ფსევდონიია“ — გაიმეორა მან: —  
მეგრელი ყოფილხართ?

— როგორ თუ მეგრელი? რათ ფიქრობთ ეგ-  
რე?

— „ია“ — ზე მეგრელების გვარი თავდება.

— მერე თქვენ ჩემი გვარი საიდან იცით?

— თქვენ არა სთქვით — „ფსევდონიია“

მე სიცილი ვერ შევიკავე: ჩემს მობა

გუნა“ სახელი ეგონა, „ფსევდონიია“



— თაგუნა, თაგუნა, თაგუნა!— მოისმა ამ დროს ძახილი:—სად არის თაგუნა? რომელია აქ თაგუნა? თაგუნას გამოხვალა!

— მე ვარ თაგუნა!— დავიძახე მე და ძლივს ვიციანი ჩემი ხმა, ისეთი უცხო და რაღაც ყრუ იყო.

როგორ გავჩნდი სცენაზე აღარ მახსოვს. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა განათებულ რამზას მივაღდექი. კიდევ კარგი რომ დროზე შევიჩერდი თორემ ისე არეული ვიყავი მოულოდნელობისაგან, რომ სულ ადვილი შესძლებელი იყო, რამზაზე გადამელაჯებია და გადავჩეხილიყავი.

გონს რომ მოვედი, ელვის სისწრაფით თვალწინ დამიდგა ჩემი მდგომარეობა, მოვიკრიბე სულიერი ძალა და ჩემი ესკიზის კითხვას შევეუდექი. მაშინ დამიბრუნდა გაბედულობა და სრულიად დამიმშვიდდა გული.

იმ ადგილამდის რომ წავიკითხე, საცა მაცურებელთა სიცილი უნდა ატეხილიყო, შევიჩერდი. დარბაზში სიჩუმე იყო. მე მაინც დავისვენე ცოტა და გავიფიქრე, ვინ იცის იქნებ ასე სჯობს, თავიდანვე რომ სიცილი დაეწყათ, მხიარულება იქნებ ბოლომდის არც კი ყოფნოდათ მეთქი და განვაგრძე კითხვა.

მეორე დასასვენებელზე რომ მივედი კვლავ შევიჩერდი და დარბაზს გადავაღე თვალი. ისეთი სიწყნარე სუფევდა, რომ თეატრის დარბაზს ეგვიპტეს ფარაონთა სამარხი გეგონებოდა და, როგორც მუმიები არ გაიცილებენ იმ სამარხში, ისე აქაც არავინ იცინოდა.

ცოტა არ იყოს აბრუ ვამიტყდა, მაგრამ მაინც განვაგრძე კითხვა და მესამე დასასვენებელზე კიდევ

შევიჩერდი. იგივე დუმილი მეფობდა. ვილაც ორ წყვილი ქარაფშუტა ქალ-ვაჟი პირველ წყებაში წამოდგა და გასასვლელ კარებისაკენ გაემართენ. მათი ქუსლების რაკა-რუკი ისე ჩამესმა ამ სამარხსებურ სიჩუმეში, როგორც ჩაქუჩის ცემა, როცა კუბოს სახურავს აქედენ საფლავეში ჩაშვების წინ.

მხოლოდ მეოთხე დასვენებაზე შევასწარ თავი რომ მესამე წყებაში ერთი მარლიანი სახის ახალ-გაზდა კაცი იღიმებოდა.

— ერთი კაცის ინტელიგენტური ღიმილი მირჩვენია ათას კაციან ბრბოს ვულგარულ ხარხარს,— გავიფიქრე მე და გაორკეცებული სიმხნევით განვაგრძე კითხვა.

მაგრამ ამ დროს დავინახე, რომ ის ჩემი მარლიანი ახალ-გაზდა სისწრაფით წამოდგა, ხელი გაუშვირა გვერდით მჯდომ მშვენიერ ქალს და წაიყვანა. ქალი გზაში რაღაცას უჩურჩულებდა ყურში და ის ყმაწვილიც იმავე ღიმილით უღიმოდა, მე რომ წელან შევამჩნიე. ეხლა კი მივხვდი, რომ ჩემი საქმე აღარ გამობრუნდებოდა. ხალხი ნახევარზე მეტათ აიშალა და წავიდა.

სიმწრის ოფლით გავიღვარე თავიდან ფეხებამდე და ხმა ჩამიწყდა...

შინ რომ დავბრუნდი, უპირველეს ყოვლისა შარვალი გავიხადე, გადავუგდე ცოლს და დავუძახე:

— თუ ღმერთი გწამს, ეს შარვალი დღეის მიერ აღარ დამანახვო!

ჩემი ოჯახის წევრები თავ-ჩაღუნულები ისდდენ. კუთხეში ცოლის ყრუ ქვითინი ისმოდა.

თაგუნა.



1940



# ჰატარა ფელეტონი.

## თბილისელების ლილინი.

თბილისი თოვლმა დაჰფარა—  
დაგვიდგა მკაცრი ზამთარი,  
(დალოცვილ ბუნებასაც-კი  
არეული აქვს დავთარი)  
მთელი თვე მზე არ გვინახავს,  
სუსხი არის და ადარი,  
(მაგრამ სიცივეს ვინ ჩივა  
რა კი გვაქვს თავ-შესაფარი):  
აზრუმი ჩვენს ხელში არის —  
ახლოს ვერ მოვა თათარი,  
(სულს კი გვხდის შინაურები,  
ნადირზე უფრო აფთარი).  
მთელი ქალაქის ჩარჩებმა  
წამოიყარეს ფაფარი,  
(ნიხრი და ტაქსა იმათთვის  
ძილის-პირია, ზღაპარი!)  
ჩვენი საქმელი პური-კი—  
ცომია, ცეცხლზე წამთბარი  
და ხორცი, მხოლოდ კამეჩის,  
(ისიც ძვალ-ტყავათ გამხთარი).  
ღვინოს დღეს იგიც ვერა სვამს—  
ვინც რომ მოხვეტა „ქანქარი“ \*),  
წყალი (ჩაისთვის) ბევრი გვაქვს,  
მაგრამ სად არის შაქარი!!!  
ამ სიძვირეში გახშირდა  
მრული სასწორი, ყანთარი!..  
(ჰოი, დასწყევლოს ეშმაკმა—  
დროება ასე წამხთარი).

მთა-წმინდისაკენ წავედი,  
(იქ საქმე მქონდა პაწია),  
ვეძინის ქუჩის ბოლოზე  
ვიხილე გაწა-მაწია!

\*) იგულისხმება ამ სიტყვით  
გაუმაძღარი ვაჭარი—  
მილოვი, ადელხანოვი  
და სხვები მათი ამქარი.

კაცებთან თოვლა-ბურთობდენ  
მანდილოსნები კვანწია,  
ჩემს დანახვაზედ ერთბაშათ  
ყველამ ხელები ასწია,

დასძახეს:— ეს ვინ მოსულა  
ვილაცა უცხო კაცია,  
(თავზე ცილინდრი ახურავს  
და ტანზე პლაში აცვია!)

დამცხეს—იმ რიგათ ჩემს დღეში  
მე არაფერი ამწვია,  
(გვერდები დამილილაგდა,  
განზე მომენგრა ლაწვია!)

ისეთი მძლავრი საკრავი  
არც ქვა მინახავს, არც ტყვია,  
(გადავრჩი, მაგრამ თქმობედ  
ახლაც სილურჯე მატყვია).

მოგკურცხლე, თავსა ვუშველე,  
(გადაუხვიე განზედა),  
იქაც კი ორი ბარიშნა  
გადმომდგარიყო ბანზედა!

თოვლის გუნდები მოჰკრიბეს  
იმათ ჩემს დანახვაზედა,  
გადმომკრეს, გამიქუილეს,  
ერთი მომარტყეს ყბაზედა.

იქვე უგრძნობლათ დავეცი  
მე „ტროტუარის“ ქვაზედა,  
(ქალები მსხვერპლს არ დარდობდენ  
თვალი ეჭირათ სხვაზედა).

ერთი საათის შემდგომათ  
ძლივსლა მოვედი ქვაზედა  
და წამოვდექი, (თუმცა კი  
სუსტად ვიყავი ჯანზედა).

ქუჩაში თოვლის ბურთები  
წალმა-უკულმა ცვიოდა,  
მგზავრები იგინებოდა,  
წუწუნებდა და სჩიოდა;

ბარიშნები კი „შრომობდენ“,  
(თუმცა ხელებზე ციოდა,  
შიგნით კი—ოფლი წურწურით  
კუნთებზე ჩამოზლიოდა!)



სამოსი შემოღუმბოდათ,  
 სიმწრის ცრემლები სცვიოდა,  
 სხვა საქმე მათ არ უნდოდათ,  
 (არც თუ საქმელი სწიოდა).  
 იმათ სახეზედ სიამის  
 რაღაც ღიმილი სქვივოდა!..  
 (შე კი—გვერდები მგწოდა  
 და ყბის ძვლები მტკიოდა).

რამ შეახურათ ნეტავი  
 ეგ ნორჩნი „მადმაზლები“  
 (სხვებს სცემენ, თითონ არიან  
 თეძოვებ დასაზღვრები!)

დავეწვი თავდაღმართისკენ  
 მე მათგან განახლები  
 და შემდეგ ლოგინათ ვწევარ,  
 განაცვი-განაცხელები.

ღამ-ღამით მეღანდებიან  
 მათი მკლავი და ხელები,  
 ძილს მიფხოზბს, (თუ არ გავვიქდი,  
 და არ დამჭირდა მცველები),

მომავალ კვირას ვიმღეროთ  
 ამბები, აწინდლები...

(ოი, წაიღოს ეშმაკმა  
 ქალები მთა-წმინდლები).

მათრახოსანი.



სწორედ არ ვიცი, დავუმაღლო თუ ვუსაყვე-  
 დურო ჩვენს ლაღოს, რომელმაც მომიხერხა და  
 შიო მღვიმელის დილაზე თეატრში უბილეთოთ შე-  
 მიყვანა (ბილეთებს ვეღარ მივუხწარი—სჯელ გაყი-  
 დულიყო).

— ეს ხომ კარგი—შემოვედი, მაგრამ ალაგი  
 რომ არსად არის, სად უნდა დავჯდე?—ვიტოხე  
 ჩვენს ლაღოს, თეატრში რომ შევედი.

მაგრამ ჩვენი ლაღო რისიღა „ჩვენი ლაღო“  
 იქნებოდა, თუ ასეთ მცირე დაბრკოლებასაც ვერ  
 შემოუვლიდა.

— ფიქრი ნურაფრისა გაქვს,—მითხრა მან:  
 გასწი ჩქარა და ორმოცდამეშვიდე სავარძელში  
 ჩაჯექ არხეინათ.

— გმადლობ, მაგრამ—ეთქვათ მოვიდა ეგ 47  
 ნომერი, მაშინ ხომ არხეინათვე უნდა წამოვდ-  
 გე?

— ეგე, ნუ გააქირე, კაცო, საქმე! რომ არ  
 ვიცოდე, განა გეტყოდინ? 47 № არ მოვა.

— შენ რა იცი?

— სჩანს, ვიცი.

— ვისია ეგ ორმოცდამეშვიდე სავარძელი?

— „მშაკის“ წარმომადგენლის... გასწი ჩქა-  
 რა, თორე მკორე განყოფილებასაც ვეღარ ნახავ,  
 წადი—რაღა!

წავედი. მოგნახე ორმოცდა მეშვიდე სავარძე-  
 ლი, „არხეინათ ჩაჯექი“ შიგ და აქეთ-იქით მი-  
 ვიხედ-მოვიხედე: მარცხნით „საქართველოს“ წარ-  
 მომადგენელი მეჯდა, მარჯვნივ კიდევ „სახალხო  
 ფურცელისა“.

„კარგი ადგილი კი შეუნახავთ „მშაკისა-  
 თვის“—გავიფიქრე მე და უცებ მაცდურმა აზრმა  
 გამიელვა თავში. ეს აზრი ისეთი სასაცილო იყო,  
 რომ ძლივს შევიკავე თავი, რომ ხარხარი არ და-  
 მეწყო.

„მერე გარემოებაც რომ ხელს მიწყობს—  
 განვაგრძობდი ფიქრს:—გარეგნობით სომეხსა ვგე-  
 ვარ, და ვერც ერთი ამათგანა მე პირადათ ვერ  
 მიცნობს, ჩინებულთა“, და შევეუდექი ჩემი აზრის  
 განხორციელებას.

— ლუსნიაკ გიშე-ერ, ბოლოროვი ინ კუნჩუ-  
 ნე-ემ,



ინს ღესნოლა-ა კარწუმეთე-ე ტუნჩუნემ, ვაი, ტუნჩუნე-ემ“...

დავიწყე მე ღიღინი ნელის ხმით, ისე კი რომ ეს სომხური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არც კი ვიცი, ჩემს მეზობლებს გაეგონათ.

„სახალხოს“ წარმომადგენელმა ჯერ ზიზლით შემომხედა, მაგრამ როცა შეამჩნია, რომ მეც ვუყურებდი, სახის გამომეკყველება მყისვე შესცვალა და გამიღიმა ისე, როგორც კეთილ „მეზობელს“ შეჰფერის.

„საქართველოს“ წარმომადგენელი კი გველნაკბენივით შეხტა, გაბრაზებული სახით მოტრიალდა ჩემკენ და აღშფოთებულის ხავილით მომამახა ქართულათ:

— როგორ ბედავთ აქ სიმღერას?... თუ სიმღერის გუნებაზე ხართ, კარში მიბრძანდით... ეს უზრდელობაა!..

— ინჩ?—აღერსიანათ ჩავეკითხე მე.

— თქვენ აქ ეჩხაძინი ხომ არა გგონიათ, ვაჟ-ბატონო? მაგ „ინჩებს“ თავი დაანებეთ და კაცურათ მელაპარაკეთ, თორემ...

— ინჩებს? გავუმეორე მე, რადგან სხვა არაფერი ვიცოდი სომხურათ.

— Вы по-грузински не понимаете?—ზრდილობიანათ მკითხა „სახალხომ“ და გამიღიმა.

— НЕТ!—ვუბასუხე მე.

— Вашъ сосѣдъ возмущается нескончаемой рѣчью этой дамы (იმ დროს თელაველი სუფრაჟისტი მანდილოსანი ამბობდა თავის გაუთავებელ სიტყვას).

— შენ, ეი!—შეუბღვირა „საქართველომ“ „სახალხოს“:—თუ არ შეიყობა გინდა ამ უზრდელ კარაპეტასთან, ისევ შენს გაზეთში ეარშიყე, როგორც გჩვევია! ეხლავე გადაუთარგმნე რუსულათ, რაც ვუთხარი!

„საქართველომ“ რუსული თუმცა იცოდა, მაგრამ უცხო ენას „პრინციპილად“ არ ამბობდა.

— რას ამბობს? ვკითხე მე რუსულათ „სახალხოს“:—ვიღაც კარაპეტა ახსენა მგონი:

— კარაპეტა... დიან... კარაპეტა ჩემი სახელი ვახლავთ,—დაიბნა—ის ეგ ამბობს, ძალიან ვნანობ, რომ სომხური ენა არ ვიციო.

ამ სიტყვებმა „საქართველო“ მთლად გააბრაზა. სამჯერ აღდა და დაჯდა, თვალეები აენტო, გაფითრდა და ჩემი სავარძლის სახელურს დააწვა ქშენით.

— განა თქვენ სომეხი ხართ? ვკითხე მე „სახალხოს“, რადგან კარაპეტა დაირქვა.

— არა, მე ქართველი ვარ, მაგრამ ჩვენში ხშირათ შეხედებით სომხურ სახელებს. აი ამასაც—„საქართველოს“ წარმომადგენელს მიუთითა—ამბარცუმა ჰქვიან სახელათ,—შესტოპა თავისებურათ „სახალხომ“.

— თქვენ რუსული არ იცით, ბატონო ამბარცუმ?—დაყვავებით ვკითხე „საქართველოს“, მაგრამ ამ კითხვაზე მან მხოლოდ კბილების კრაქუნით მიპასუხა.

— იცით, ბატონო კარაპეტ, —მიეუბრუნდა ისევ „სახალხოს“, მე სიამოვნებით ვასწავლი სომხურ ენას ბატონ ამბარცუმს, თუ მოისურვებს.

„ამბარცუმამ“ ვეღარ მოითმინა, ელვის სისწრაფით წამოვარდა ზეზე და კარებისაკენ გაეშურა.

— რათ გავიდა?—ვკითხე „სახალხოს“.

— რას ჩამაცივდა ეს უტიფარი სომეხი, დასწყევლოს ღმერთმა მავათი მოდგმა,—გაღულაპარაკა მან გვერდში მჯდომ ჩერქეზულათ ჩაცმულ კაცს, შემდეგ ღიმილით მომიბრუნდა მე და მითხრა.

— მგონი ცუდათ შეიქნა, ავათყოფი კაცია, უნდა წავიდე, ვუშველო.


ისიც რომ გავიდა და მარტო დავრჩი ისეთი სიცილი წამსკდა რომ, მსახიობ ივანიძის (მაშინ ის იყო სცენაზე) ხმამაც ძლივს დაჰვარა.

განყოფილება რომ გათავდა, სისწრაფით მოიქრა ჩემთან ჩვენი ლაღო და სხაპა-სხუბით მომახალა.

— ჩქარა გასწი აქედან... შენი საქმე ცუდათაა... რეები ჩაგიდენია? ბაღლი ხომ არა ხარ? წადი ეხლავე, თუ გინდა თავ-მრთელი დარჩე.

მართალი ვითხრათ, შემეშინა და მაშინვე გავიპარე.

ნაბუქოდონოსორ.





## ჭეშმარიტი ქრისტიანი.



**პოლიციელი.** მე შენ ეხლავე ოქმს შეგიდგენს.. ბოქკას წყლით ავსებ და შემდეგ ღვინოთ გინდათ გაასაღოთ?

**ხირაჯი.** შენ ქრისტიანი ხარ, თუ ურია, ჰა?

**პოლიც.** როგორ თუ ქურია? რას მიედ-მოედები?

**ხირაჯი.**

**პოლიც.**


**ხირაჯი.** არა, ჩემმა მზემ. აი ყური მიგდე: განა ქრისტე არ იყო, რომ ქორწილში წყალი ღვინოთ აქცია?

**პოლიც.** მერე?

**ხირაჯი.** მერე და მეც იმასვე არა ვშვრები? მე ვიცი, პოლიციელი რომ შესწრებოდა, იმასაც შეუდგენდა ოქმს! ვაჰ, ეს რა დრო დაგიიღა და!



# ბეჯითი არქეოლოგი.



- ყმაწვილო, რას სჩადიხართ?
- ვერა ხედავთ, ძველ შარვალსა ვყიდი!
- ნუ ინებებთ, თუ ღმერთი გწამდეთ! ეს ისეთი სიძველეა, რომ არქეოლოგიურ მუზეუმს დაამშვენებს... შესწირეთ თუ გინდათ საუკუნო სახელი მოიხვეკოთ.

## გურული სტენა.

### ჩემი ვასაჭირი.

გი ვახ ჩემს მოსწრებას! რა დროს მომსწრე და დროში ვცხოვრობი ახი და მართებულია ჩემზე რაც სიავე დამეპრათება, რამ გამომაყრყეა ვითამ ქვეყანაზე, კას ვხედავ რამეს თუ კას ვყურობ, ახლანდელი დროის იმედი მაქვს თუ უკეთეს მოველი. თუ გინდა ქვეც მეღირსოს უკეთესი დროი და ბორჯი მერე რათ მინდა! საქმელი ვიშონო კბილები აღარ მაქვს; დუღღმელი ვყლაპო კუჭი ვერ ინელებს; ვილა შემომხედავს, ვილას რაღა ჯანაბათ უნდებვარ, ყველაის ბიძივი და ბაბუაი შევიქენი,

ამფერი სიცოცხლე, აკაკის არ იყოს, გინდა იყოს და გინდა არა.

კაცს ხომ მიწის მეტი აფერი გააძლებს, თვარა საყვედური რავე მეთქმის ჩემი არჩივი ქვეყანა აფათ იყო თუ კარგად ქე მოვქამე და სხვის არჩივს მე ვინ დამანებებს. რა არ მახსოვს, რას არ მივესწარი. მახსოვს აზნაური რომ გეიჯგიმებოდა საყდარიში ერთ ადგილას, კაი ბიჭი იყავი და გვერდში ამოსდგომოდი, ან ვინ იყო ცხრა თავიანი აზნაურის მიჩენილ ადგილზე გიებედა დადგომა. მახსოვს საყანული მოსავლის ნახევარი ჩვენი ზურგიით უნდა მიგვეთრაქა აზნაურიზა და ნალიაში უნდა ჩაგვეყარა. საღვერობო სხვაი იყო და მოურავის გულის მოსაღბობი კიდევ სხვაი. მახსოვს ზარით ტირილი, სულის ახსნა, გამოტირილი, საკურთხი, სხვა და სხვანაირი წირვა: ნაწყევარი, ნაფიცარი, სასახლის კაცი, საეტლო, სამღრთო, გადანაცემარი, თავშემონარები: ვკლავდით: ცხვარს, ტახს, სახლის მამალს, თხას, ხარს, მოზვერს, კალმახს, სისხლიანს და უსისხლოს, ვაძლებდით ხუცებს, პრიჩენიკებს და დიაკვნებს, ვაძლებდით, ნაწირავს ვაძლებდით და ღვთის შესაწირავის მენახვერეც იგინი იყვენ, ნახევარი არჩივით შინ მიქონდენ. მახსოვს მამასახლისის დიდკაცობა, მწერლის ყორიფელის შემძლებლობა, პრისთავის მათარაზები.

მახსოვს მეიშალა ყველაი კონდახში: აზნაური ფიცულობდა გლეხი ვარო, მღვდელი ჩაქურას იცვამდა, მამასახლისი ხალხს უჩოქებდა, პრისტავი „ნაგულას“ ყიდულობდა—ჩვენ ვიცინოდით იგინი ტიროდა. ნეტა მაშინ ამომხთენოდა სული, საიქიოს კას ამბავს წვივლებდი.

მერე კი კები შეაბრუნეს—ჩვენ ვტიროდით, იგინი იცინოდენ, ჩვენი სახლი იწობოდა იგინი ხელს ითბობდენ.

მახსოვს კირილოვი, ტალმაჩოვი, ერმალოვი, ზაკუსოვი, მიქიაშვილი, კლანდია, კუხალია, მენაბდია, კეკელია და სხვები. მახსოვს რაფერ ბრდღვინავდენ, ვინ იფიქრებდა, თუ მაგინი მეიშლებოდა, ვინ დეიჯერებდა თუ სხვების დამპირავენს გაძაგრავდენ—არ მეგონა მარა ამასაც მივესწარი—სხვების ციხეში გამგზავნელი ციხეში ვნახე და ბევრს კიდევ ვნახავ. მარა აგი სულ აფერი არაა, ყველაზე უფრო მე სხვაი მიკვირს და მაყურყებებს. ყორიფელს დევიჯერებდი, ყოლიფერს წარმოვიდგენდი მარა იმას ვერ დევიჯერებდი, თუ ოზურა



გეთის ქანდარის ხალხი მეიშლებოდა და იგინს გასავალი აღარ ექნებოდა.

„მოეყარათ თავი ქანდართან  
თუ რამე წამოგვცდებოდა  
ქე მიქონდენ ჯანდართან“.

ასეთი იყო ქანდარის ხალხი, მათ ნება სურვილზე იარებოდნენ ვეზდის ნაჩინიკები და პრისტავები, იგინს უჯეროდა აგინის უფროსებიც. ქანდარის ქვეშ გადაწყდებოდა ვინ დიეჭირათ, ვინ გადიესახლებიენ, ვინ გამიეგდენ სამსახურიდან, ერთი სიტყვით ქანდარის ხალხს შეიძლო წყალი აღმა წიეყვანა და მუხიზა ვაშლი გამიესხა. დიდხანს ბატონობდა ქანდარი, დიდხანს იყო იგი გურიის უფროსების უფროსი და არც მეგონა თუ გურია ეღირსებოდა ქანდარის მოშლას, მარა მოხდა სასწაული. ქანდარები ქეა კიდეე იქინეი სადაც იყო, იმის ქვეშ ახლაც იყრიან თავს, მაგრამ ახლა ძველ დროს მისტირიან, მათ გადაწყვეტილებას არავენ უყურებს. ქანდარისტები ამბობენ ქვეყანა დეიქცევა, ყაზილარები ისევ დაგვაჯდება თავზეო, მარა გამგონი არავენ არის. ვაი ჩვენ დდეს და მოსწრებას თუ დასურ დეიქცა ქვეყანა, რა ეშველება გურულებს ღმერთმა რომ ქანდარისტების თავი გვთხოვოს. მაგ საშინელ დროს ღმერთმა შე ნუ მომასწრას და თქვენ კიდეე ვარესსაც მოესწარით თუ გინდებიან.

პიტნა.



## მესტვირული.

(ბათუმისათვის)

დაუკარ სტვირი, ქამანჩავ,  
დაუკარ ნელო-ნელოდა,

დაუკარ, დავალიდინებ,  
როგორც ვიცოდი ძველადა,  
ზოგისთვის გულის საკლავად,  
ზოგისთვის აღმაფრენადა.  
ვხედავ უშენოდ ვერ ვარგვარ,  
ვერსადა, ვერაფერადა.  
შენა ხარ მკურნავი,  
შენ მყავხარ გულის ღხენადა.  
დაუკარ, რა-კი მოვედით  
ბათუმის დასაზვერადა,  
პირველ ბლიკვადეს ვესტუმროთ,  
ვერ ვინ სჯობს მასპიძელადა,  
ძველ ამბებს გვეტყვის, კარგ ამბებს,  
ვარგა ზღაპრების მთქმელადა!..  
უთხრათ, აილოს მანც სტვირი,  
გამოგვეყვს გზა-გზა ნელადა—  
რომ ორ მესტვირეს ტუკებით  
მტერმა შებედოს ძნელადა...  
კოოპერატივის მივადგეთ,  
მის გამგეობას ხელადა,  
(თუმცა ეს დიდი საქმეა  
და ძნელი გასაბედათა)  
ზოგსა პაწიას ზომითა,  
ზოგსაც დანაყულს გძელადა...  
უთხრათ: ბატონო გამგენო,  
თავი რომ მოგაქვთ ბრძენადა...  
მარტოკა შრომადა არ კმარა  
საქმისთვის ყველაფერადა,  
თუ მას თან არ სდევს გონება,  
აზრიანობა მცველადა!..  
რომ საქმე საქმეს ემგზავსოს,  
არ გახდეს ხათაბელადა,—  
კატები არის საჭირო  
თავგების დასაქერადა,  
თორემ საერთო სავაქრო  
ვაი თუ გახდეს მტვერადა!..  
რატომ არ ფიქრობთ იმაზე,  
რომ არეულა დავთარი  
და „კასამ“ მეტი ვადმოგცათ  
სამოცდა ხუთი ქანქარი?!.  
თუ „თეთრი ჩეკის“ ბრაღია  
„ყვითელში“ შენაცვალები...  
ნეტავ ვიცოდე ამ დროს-კი,  
სად არის თქვენი თვალები?...  
ვსთქვათ, რომ ეს ასე არ არის,  
ტყვილია დანაბრალები...



(რასაც რომ ხშირად მიმართავს  
მართლის თქმით განამწარები)  
მაშ თქვენ მიჩვენეთ ამ ფულის  
შემოსავალი კარები!..  
მე-კი ერთს ვიტყვი—ალარც თქვენ,  
ალარც მე ვავეწვალევი,—  
ორში ერთია: (მიფიცავს  
საწყალი მამის ძვალევი)  
ან დუქანია ზარალში,  
ან ხალხი განატყავები!..  
თუ პირველია, მერწმუნეთ,  
არ ვარგა თქვენი თავები...  
და თუ მეორე—ხალხისთვის,  
რათ არ გაქვთ განაცხადები?!

ბათუმში სხვაც არს საქმენი,  
კარგი რამ სანახავები,  
მარა ჯერ დარჩეს მიწაში  
ჩაფლული ძაღლის თავები!..

კმარა ეს, ესლა შევჩერდეთ,  
ქამანჩავ, გენაცვალევი  
სიფრთხილეს თავი არ სტკივა,  
შევიწარჩუნოთ ძვალევი,  
ბლიკვადეს სახლში უყურდღღოთ,  
მე კედელს ავეფარები!..

მარუა.

# მთხსენება

**ს. სალხინო.** (სენ. მარა). ამ ბოლო დროს აქ საშინელი ამბები დატრიალდა. ვილაცა „თაქიან-მა“ „აზრის“ 25 ნომერში ადგილობრივ მასწავლებლებს პილპილი შეაქამა. ამაზე ატყდა აურ-ზაური. ადგილობრივი ქაჯთა რაზმი დაინტერესდა გავგო საქმის სინამდვილე

ამ მიზნით არჩეულ იქმნა კომისია, რომელიც საქმეს ფიცხლავ შეუდგა.

პირველად ყოვლისა გამტყუნებულ იქმნა ბ-ნი „თაქიანი“, რადგან მან 27 კაცის მაგივრად დაასახელა 25 კაცი ჩვეულებრივ ვახშამზე დამსწრეთ (სახეში უნდა გვქონდეს, რომ ვახშამი გამართა მის მაღალ კურთხევამ ბ-ნ სამკითხველომ). კორესპონდენტს მიუსაჯეს, მანამდე არაფერი აქამონ გარდა ჭაჩხუნულ კალმახისა, სანამ ის არ დაასახელებს

იმ ორ პირს, რომელიც მან კაცთა რიცხვიდან გაუმორიცხა. იმედია, რომ სასჯელის სისრულეში მოყვანა გაუჭირდებათ, რადგან ის იმას თავის დღეში ველარ იტყვის და ამდენი კალმახის დაქერა ცოტა არ იყოს აღკრძალულია...

— ადგილობრივ ინტელიგენციის მეოხებით სოფლის სხვა და სხვა ქუჩებში ბიბლიოთეკის დაარსდა განყოფილებები და სახაქაპურო ბუნკები...

ლოროტოტო.

**დიდი ჯიხაიში.** (მოხუცი გლეხის სიმღერა).

ჩვენს სოფელში ველარ ნახავთ  
ახალგაზრდა მშრომელ გლეხსა,  
ვინც თესავდა, ვინც რომ მკიდა  
ვინც იქნედა მარჯვეთ ხელსა.

ვინც ქვეყანას აპურებდა,  
გვინახავდა ჩვენც ბებრებსა,  
ვინც რომ თავის ნაოფლარით  
ეწეოდა ბერებს, მღვდლებსა,

ასუქებდა მამასახლისს,  
სოფლის მწერლებს და ჩარჩებსა,  
სოფლის მახინჯ აბლაკატებს,  
ნაძირალებს ქვეყნის მტრებსა.

მე ჩემს შიმშილს არ დავეძებ,  
კუჭი ეწვისთ სახლში რძლებსა,  
შინ ბაღნები ქყიპინობენ,  
სიმშილისგან ღვრიან ცრემლსა.

საიქიოს გამგზავრებულს  
გზირი მიქნევს კარზედ ხელსა,  
გზის საკეთებლათ მიმიწვევს  
ბებერსა და მარტო ხელსა.

სხვა წოდებას ვინ რას კადრებს:  
ჩვენ უკეთებთ ყველას გზებსა  
ჩემი შვილი ომში არის,  
ვაქრის შვილი სახლში წვესა.

დალოცვილი ეს ქანქარი,  
აბა ვის არ შეაცდენსა?  
სამოთხის კარებს ვავიდებს  
თუ გადასცემ მეკარესა.

დღეს რთველია, დიად რთველი  
იმის, ვინც რომ საქმეს სჯისა,  
სათავეში თუ კი უდვას  
გახსნილია ჯიბის ქისა.

ბარე ორსა მეც კი ვიცნობ  
ქუთაისში ბატონ კაცსა,



რომ ქანქრებთ ჯიბეს ივსებს  
სახლებს სჭიმავს სამს ალაგსა.

ბრმასა თვალებს აუხილავს,  
თვალებს უმსებს ნამდვილ საღსა,  
ყველა იცნობს, მაგრამ მითხარ,  
ვინ გაბედავს აბა თქმასა?

ასე არის ეს ქვეყანა,  
დღეს მდიდარი ღარიბს სჭამსა,  
და ღარიბი ითმენს, ითმენს,  
სიმშლიისგან სულს ღაფავსა.

კიკოლა ბიჭი.



### ტელეფონთან.

ბარიშნა! ჩემი თავი ნუ მოგიკვდება და დღდა  
ნუ მოგიკვდება, ერთი გერვასი დვდლის ოთახ-  
ში დარეკე. რაი ბოშო? ნომერი გითხრა? იმე?  
რისი ნუმერი გინდა თუ ღმერთი გწამს, რაფა წუ-  
ღას კი არა გთხოვ! რაიო? ტელეფონის ნუმერი?  
ხოო! უკაცრავათ, უკაცრავათ, ჩიტუნია. ნუმერი  
23 და 43. გატოვო? შენ თუ ვინმემ მიგატოვა  
თვარა მე არავის მიუტოვებია. რაიო? პოვარი  
ლაპარაკობს? რას ბოდავ ბოშო შენ? პოვარი კი  
არა გერვასი მინდა, რა დროს პოვარი და ლაქიაა  
ექსტრენი საქმე მაქვს! რაიო? გერვასის პოვარი  
ხარ! ხოო! აბა ერთი შენ ხაზენის დოუძახე ერთ  
წამს, დიდი საქმე მაქვს, „მეგობრის“ რედაქციამ  
გამომგზავნა თქო. რაიო? გერვასი ბ—თაშვილი  
ხარ? ბოდიშს ვიხდი ბატონო, არა უკაცრავათ მა-  
შო გერვასი, რაღაცა დვდლებთან არ მქონია საქ-  
მე და მაპატიეთ თუ მამაო არ გითხრა, მე საყო-  
ველთაოთ დვდლები მეზარება, მაგრამ „მეგობრის“  
რედაქციის ბრალია, იმან მაიძულა თქვენთან საქმე  
მქონოდა. რა სთქვით? ცოტა დრო გაქვს და თა-  
ნაც არ საჭიროებთ ჩემთან ლაპარაკს? იმე! მოი-  
ცადე ბოშო! რედაქციამ შემოგიტოვა აღარ გვცა-  
ლია შენი წერილები დავბეჭდოთ, შენ და ბესა-  
ბონი როგორმე შინაურულათ გამოსწორდითო.

რა ქენი მამაო? ჩამოკიდე ტრუბკა? არ მომიკვდეს  
ჩემი თავი არ მგონებია თუ დვდლებიც ასე მოუთ-  
მენარი იყვნენ.

ბარიშნა! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნუმერი არ  
ვიცი და უნდა როგორმე შემაერთოთ ბესარიონ  
ვ—ძის ყურთან. რაიო? ბესარიონის ნუმერი იცი  
როგორც გამოჩენილი მექორისა? ძალიან კარგი  
ბარიშნა! აბა შემაერთე თუ გიყვარდე. რაიო? ბე-  
სარიონის ბიჭი ხარ? კაკიტა ხარ შენ? გამარჯობა  
შენი? რა შვები როგორა ხარ? ისე ხარ როგორც  
სტამბოლის კაჟი? კაი დაგემართოს. კაკიტა, ერთი  
თუ კაცი ხარ ბესარიონს დაუძახე ტელეფონთან.  
რაიო? კარჩაკეტილია და ისე მითხრა ვინც დამი-  
ძახოს უთხარი სახლში არ არისო? თუ იცი კაკი-  
ტა, რას აკეთებს? რაიო? რაღაცას წერავს? გერვა-  
სის შესახებ რედაქციაში უნდა გაგზავნოს წერილი?  
იმე! რაფა ბოშო! მაგას და გერვასის უნდა მარტო  
მთელი გაზეთები ააქრელონ? რა ქენი ბიჭო? „ატ-  
ბოი“ მომეცი? ის შეგარცხვინა ღმერთმა.

ბარიშნა, გავათავე ლაპარაკი და მადლობას  
გწირავ, რომ მეტი არ შეიძლება. რაო? „ბოშოლ  
ქორტუო“? ჩორტთანაც წადი და არც არა იცი რა.  
**შალვა გორისელი.**

### სამელოპიარო განცხადება.

ულრმეს მწუხარებასა ქვეშე მყოფნი: გამგეობა,  
საბჭო და სარევიზიო კომისია (ურევიზიო) ქანქრის,  
(უკრედიტო) საკრედიტო ამხანაგობისა. გამგეობა  
ნუ (დომხალი) ბიბლიოთეკა (უგაზეთო) საპკითხვე-  
ლოისა. გამგეობა მომხმარებელი საზ. (ძველებური  
უმოქმედების) „განახლებისა“. ფოშტა (მისი ახალი  
პროფესიის განყოფილებით). დაბის მდაბიო ანუ  
(თავიანთი ჯიბის დეპუტატები) სისუფთავის წინა-  
აღმდეგ არსებული ანტიანტიტარული კომისიები.  
მისწავლებლები ანუ (მაწვალებლები) თავიანთი შა-  
გირდებით. ვაჭრები და ხელოსნები (გარდა მეკუ-  
ბოებისა) რკინის გზის სადგური ანუ (ბნელეთის  
უფესკრული). ერი და ბერი, (გარდა მღვდლებისა)  
ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ვაუწყებთ, ნაც-  
ნობ და ნათესავთ აკაკის სახელობაზე სათეატრო  
შენობის ასაგებ ფულების შემგროვებელ კომისია-  
თა უეცრივ გარდაცვალებას. პირველის ძმის, მეო-  
რის დის, მესამის მამის, მეოთხის ძძლის, მეხუთის



ბებიასი, მეექვსის ბაბუას, მეშვიდის და მერვის ნათლიას.

დასაფლავების დღედ დანიშნულია 18 აპრილი დღითი კვირა. მიცვალებულს გამოასვენებენ სათეატრო შენობიდან და წაასვენებენ „წმიდა ბარბარეს კარის“ ეკლესიაზე (იმ მოსახრებით, რომ იქ სანთლები ძალზე გაიაფდა) პანაშვიდის გადახდის შემდეგ წარმოითქმება მქუხარე სიტყვები, რის შემდეგ პროცესია დაიძვრის სასაფლაოსაკენ და მეორე რიგი სიტყვების შემდეგ — დაუვიწყარ ცხელდარს მიაბარებენ სამეგრელოს **პანთეონს**. სადაც განზრახვა აქვთ დაიმარხოს ყველა სამეგრელოში გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწე.

ბ. ეშმაკო! ზემოხსენებული მიცვალებული ადგ. ექიმების გამოკვლევით გადამდებმა სენმა იმსხვერპლა, რაიც ჩვენს საზოგადო მოღვაწეებში დღითი დღე ეპიდემიურ ხასიათს იღებს. აი ამ გარემოებამ გვაიძულა, აქ დაგვეარსებია მუდმივი დამკრძალავი კომიტეტი. ეს „სამგლოვიარო განცხადება“ შეადგინა და გადმომცა ხსენებულმა კომიტეტმა თქვენი ჟურნალისათვის. კომიტეტი ხალისიანათ ასრულებს თავის მოვალეობას. და მომავალიც კარგი ექნება. დღეიდან იმედი იქონიე, რომ მზგავსი განცხადებები მულამ ექნება თქვენ ჟურნალს.

მწუხარებით აღსავსე **სათარხანი**.

## წერილი რედაქციას.

**ბ-ნ იასონ კახიანის საპასუხით.**

„ეშმაკის მათრახის“ №-ში ჩემ მიერ მოთავსებულ გამოცანას, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია იმავე სასტუმროში მყოფი ხელზე მოსამსახურე იას. კახიანი და თავის დასაკლავადანის ძებნა დაუწყებინებია. ბ-ნო იასონ! 1915 წ. დეკემბრის შვა რიცხვებში თქვენ შემხვდით მარიანის ქუჩაზე და სხვათა შორის მიამბეთ: „ჩვენს ხაზენებს 118 მ. აქვს ჩვენ შორის შეგროვილი წყ. დ. დაზ — ბულოთა სასარგებლოთ და არ აგზავნიანო“. ეს თქვენ სთქვით თქვენი პატიოსანი პირით, რასაც ისმენდა ორი ჩვენი ნაცნობი, რომლებიც ამ ლაპარაკზე წამოგვესწრენ. მეც გამოვიკვლიე რა ეს

ამბავი სხვებთანაც, აღმოჩნდა, რომ ხაზენი წინადადებას აძლევდა მოსამსახურეებს მოკრებილ 118 მანეთიდან ნახევარს მე დავიტოვებ დაკარგული ფრაქეს და დამტვრულ ქურლებში, დანარჩენს გავგზავნიო. ამის შემდეგ კიდევ ორი თვე გასულიყო, მაგრამ ფული მინც არ გავგზავნა. ამან მე მაფიქრებია, რომ ფულები სასტ. პატრ. მისაკუთრა, რისთვისაც 21 დეკემბერს წერილი გავგზავნე „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში. ამც შემდეგ თქვენ ამხანაგებთან უკმაყოფილება მოგივიდა და ყოველივე ამბავი რედ — ში კორესპოდენციის შესახებ, რომლის გამოგზავნა სხვებთან ერთად თქვენც იცოდო, ხაზენს მოახსენეთ იმის შიშით, რომ ჩემზე არ აილოს ექვითა და იმ ფულის გაგზავნაც თვით იკისრე თითქო ფულები თქვენთან ყოფილიყო. აი ასეთი უმსგავსობა ჩაიდენეთ ბ-ნო იასონ! დღეს კი გამოსულხართ და სხვის მაგიერ მედიატორეში მიწვევ. თქვენი ასეთი მოქმედებისათვის პასუხს აგებ ბათ. ხელზე მოსამსახურებთან, ხოლო რაც შეეხება ჩემსა და ბ-ნ სასტუმროს პატრონის შორის სამედიატორო სასამართლოს — მოახსენეთ ბ-ნო ვეკილო, რომ სიამოვნებით გაყობი.\*)

**ისკანდერ.**

\*) ეს წერილი რომ თავიდან ბოლომდე სინამდვილე ვემოწმებო იგივე სასტუმროში ნამყოფი ხელზე მოსამსახურე დათხოვილი იმის გამო, რომ იასონისებური როლის შესრულება ვერ ვიკისრე ე. ი. ვერ დაუმოწმე ბ-ნ ხაზენს რომ ხსენებული ფული მის დადლში არ ყოფილიყო, არაფერი სცოდნოდეს და ფული არ შეეჩერებინოს, დიდი ხნით.

**არტემ გეგენავა.**





მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

# ეჭმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეჭმაკი და თაგუნა**,  
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ეჭმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

**Тифлисъ** \*)

С. Р. Таварткиладзе.  
Олгинская 6,  
Почтов. ящ. № 96.

(ეჭმაკის მათრახისათვის)



\*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმეფიწყებს მოვავონებთ, რომ

◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆



# აღსასრული აღამიანის ტანჯვისა!

## სუსუნათის წამლოჯა.

ნ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბქოს ნებართვით № 1295, სუსუნათის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავთომყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდი“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდი“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისთვის გადაქრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნათის მოსარჩენათ, და „რაპიდი“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნათის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპარდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ექვის თვალთ შეზხედონ ჩემს წამლოსაც, — ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდი“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდი“-ის როს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:** „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივციდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნათის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგეილოდ.

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდი“-ისათვის, რომელმაც ერთბაშით იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოგვორთდი 14 მარტი, 1914 წ.


3. 6. 3. 6.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. ვაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отделение Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушвинская 3 отд. 3/м. верхній этажъ.



# უგანათლებულეს თავ. პეტრე გრუზინსკის ძეგლის პროექტი



უზომოთ მადლიერმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა ძეგლი აუგოს თავის პრეზიდენტს თავ. პეტრე გრუზინსკის იმ ენერგიულ მოღვაწეობისთვის, რომელიც მან გორდის გაყიდვის საქმეში გასწია. ძეგლის პროექტების კონკურსში „ემ. მათრახმა“ მიიღო მონაწილეობა. ჩვენი პროექტი უიურომ საუკეთესოთ იცნო და მოკლე დროში ალექსანდრეს ბაღს დაამშვენებს ეს მშვენიერი ნაწარმოები ქანდაკურ ხელოვნებისა.